# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72


N 62 13/07/2015

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის გაწეული მუშაობის ანგარიში**

2015 წლის 15 ივნისიდან 15 ივლისამდე კომისიამ ჩაატარა 2 სხდომა და განიხილა 3 საკითხი:

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების შესახებ;

2) ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების 6 თვის გეგმის შესრულების შესახებ;

3) კომისიაში შემოსული წერილის განხილვის შესახებ;

პირველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ მოისმინა და განიხილა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2015 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების შესახებ, აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში გეგმა შესრულებული იქნა როგორც საშემოსავლო ასევე ხარჯვით ნაწილში. მეორე კვარტლის ბოლოსათვის საკუთარი შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 79,8%-ით.

კომისიამ 2015 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიში შეაფასა დამაკმაყოფილებლად;

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოისმინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების 6 თვის გეგმის შესრულების თაობაზე და მიიღო ცნობად;

მესამე საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ განიხილა და იმსჯელა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის პრეზიდენტის წერილის თაობაზე. მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება და საკითხი გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე.

გელა ჩავლეშვილი

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია